

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. 2010 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის ყაზბეგის რაიონში, სოფელ გუდაურში მდებარე შენობა-ნაგებობის მე-4 სართულზე ბინა №69-ში არსებული 79,50 კვ.მ საცხოვრებელი ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №74.06.11.046.01.069) უსასყიდლო ფორმით გადაცემის ხელშეკრულება.
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 15 აპრილის წერილი N 16/1355-ის ასლი, რომლის მიხედვითაც ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურში მოთხოვნილია სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაცია ქონების უსასყიდლო ფორმით გადაცემის ხელშეკრულებით.
3. საქართველოს პროკურატურის მოწერილობაზე (რომელშიც მოთხოვნილია აღნიშნული ფართის გადმოცემა) შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ გაცემული წერილობითი სარეზოლუციო დავალების/გადაწყვეტილების ასლი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ დაუყოვნებლივ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ინფორმაცია მოგვაწოდოთ ქსეროასლის ან ელექტრონული დოკუმენტის სახით. გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი